„მოკარნახე“ ზმნები

მოსწავლეები ასრულებენ ბარათზე დაწერილი ზმნის შესაბამის მოქმედებას.



კლასი: I-IV

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მცირე ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: სიტყვის ბარათები

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს მოქმედების გამომხატველი სიტყვის ბარათებს და მორიგეობით აჩვენებს თითო მოსწავლეს/ჯგუფს თითო ბარათს.
- მოსწავლეები ასრულებენ ბარათზე მოცემული ზმნის შესაბამის მოქმედებას. მაგ., ახტა, აიღო, იყვირა, თვალები დახუჭა, ხელი ასწია, აიხედა, წაიკითხა და სხვ.

ვარიაცია

შედარებით მაღალ კლასებში მასწავლებელს შეუძლია გაართულოს დავალება და მოსწავლეებს სთხოვოს შესაბამისი მოქმედებების შესრულება მხოლოდ იმ ბარათების დანახვისას, რომლებზეც ზმნების კონკრეტული ფორმები (მაგ., წარსულ დროში) ან მხოლოდ მდგომარეობის/მოქმედების აღმწერი ზმნებია გამოსახული.